

მშობელი საწარმო-შპს „შვიდი“-ს

ს/კ 443854134

შვილობილი საწარმო-შპს „ნიკორა“

ს/კ 443871687

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024

წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის



სარჩევი

1.ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

შპს „შვიდის“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

აქტივები	შენიშვნები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2			
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3			
მარაგები				
- მზა პროდუქცია				
- სხვა	4			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5			
ძირითადი საშუალებები	6			
არამატერიალური აქტივები				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები				
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7			
ანარიცხები				

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი	8			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი				
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები	10			
სულ საკუთარი კაპიტალი				
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				

სულ მოკლევადიანი აქტივები

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები

შპს -ს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნები	2021წ	2020წ
--	------------	-------	-------

ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	11		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საერთო მოგება			
სხვა შემოსავალი	12		
დასაქმებულთა ანაზღაურება			
ცვეთა და ამორტიზაცია			
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	13		
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14		
საოპერაციო მოგება			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	15		
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან			
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)			

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-	
სხვა		-	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)			
კაპიტალის გაზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს			

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

		2024	
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები			
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო			

საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები			
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები			
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)			
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს			

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ შვიდი“ ს/კ 4438541347 დაარსდა 04,05,2010 წელს, დღგ-ს გადამხდელია 17,01,2011 წლიდან.

ზვიადი ლალუაშვილი კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორი არის -100%. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო,ხაშური სარაჯიშვილის 43ა,ფაქტობრივი მისამართია ხაშური იმერეთის 180 კომპანიის საქმიანობის სახეს წარმოადგენს არასპეციალიზირებული საბითუმო ვაჭრობა,კოდი 46900

შპს“შვიდმა“ 2024 წლის 5 იანვარს შეიძინა შპს „ნიკორა“ ს/კ 443871687 და არის მისი 100% წილის მფლობელი.შპს „ნიკორა-ს“ საქმიანობის სახეს წარმოადგენს: ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება. კოდი 10110

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ორივე შპს არის ფუნქციონირებადი საწარმო, ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეის განმავლობაში არ იგეგმება მათი ლიკვიდაცია, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

2024 წლის 31 დეკემბერი 2023 წლის 31 დეკემბერი

ევრო/ლარი

2.9306

2.9753

ამონაგების აღიარება.

ამონაგები მოიცავს კომპანიების ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღიარებს

ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიებში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი;

გადასახადები

მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიები იხვერება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმომშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე. აღრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი

ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალით.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად

ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელიც წარმოშობილია საქონლის რეალიზაციიდან, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ფულს სალაროში. 31,12,2024 წელს შპს“შვიდს“ საბანკო ანგარიშებზე უფიქსირდებოდა 1388 ლარი -. სავალუტო ანგარიშზე უცხოური ვალუტა ეკვივალენტით ლარში-224 ლარი, სალაროში 8733 ლარი.შპს“ნიკორას“საბანკო ანგარიშებზე უფიქსირდებოდა 677 ლარი,სალაროში 78 ლარი.

2. სავაჭრო მოთხოვნები

	შვიდი	ნიკორა
სავაჭრო მოთხოვნები	84209	25440

კომპანიებს აქვთ დებიტორული დავალიანებები კომპანიებთან ,რომლებიც ძირითადად სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ.

3. მარაგები

	შვიდი	ნიკორა
მარაგები	276551	104200

დასახელება	საწყისი ნაშთი	შეძენა	რეალიზაცი და ხარჯი	ნაშთი 01.01.2025
	შპს „შვიდი“			
გასაყიდი საქონელი	325254	921736	984045	262945
დიზელის საწვავი	102	34060	34063	99
სხვა მარაგები	134	15104	1731	13507
სულ მარაგები	325490	970900	1019839	276551

	შპს „ნიკორა“			
გასაყიდი საქონელი	0	1557086	1452886	104200
დიზელის საწვავი	0	4237	4237	0

4. მიმდინარე აქტივები

შვიდის სხვა არამატერიალური აქტივი	575	
-----------------------------------	-----	--

სხვა არამატერიალური აქტივები შპს „შვიდის“ აქვს საბუღალტრო პროგრამა, სადისტრიბუციო და სასაწყობო პროგრამები.

5. ძირითადი საშუალებები

შპს "შვიდის" ძირითადი საშუალებები	412102	
-----------------------------------	--------	--

ძირითადი საშუალებები	თვითღირებულება	დაგროვილი ცვეთა	2024 წლის საწყისი	შემენა	გასვლა	ცვეთა	საბოლოო საბალანსო ღირებულება
მიწა	241064						241064
შენობები	242177	100804	141373			13494	127879
1. საწყობი იმერეთის 180	182285	80204	102081			9280	92801
2. შენობა იმერეთის 24	47500	16882	30618			2355	28263
3. შენობა ოსტროვსკის ქ.	12392	3718	8674			1859	6815
ΙΑΙΘΑΙΑ- ΑΑΙΑΑΑΑΘΑ ΑΕ	2000	1880	120			40	80
კომპიუტერული ტექნიკა	6031	5696	335			91	244
ΟΑΟΘΑΙΟΘΙ ΟΘΙ ΟΑΥΘΑΕΑΑΑ ΑΕ:	118953	55945	63008		12778	8534	41696
1. სატვირთო ფურგონი 7 ცალი	97483	50132	47351		12778	6456	28117
2. მსუბუქი ავტომობილი	21470	5813	15657			2078	13579
1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები	2358	1667	691			127	564
არამატერიალური აქტივი-პროგრამული	7360	6498	862			287	575

უზრუნველყოფა							
შპს“ნიკორა“-ს ძირითადი საშუალებები					366831		

ძირითადი საშუალებები	თვითღირებულება	დაგროვილი ცვეთა	2024 წლის საწყისი	შეძენა	გასვლა	ცვეთა	საბოლოო საბალანსო ღირებულება
2.შენობა გორგასალის N21			324521			16226	308295
ÌÀÍØÀÍÀ- ÃÀÍÃÃÃÃÒÃÃÉ			2419	7142		1608	7953
კომპიუტერული ტექნიკა			870	2222		507	2585
1.მანქანა-მაცივარი			13335			2667	10668
2სატვირთო ა/მ				11864		2175	9689
1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები			4477	2778	971	870	5414
ავეჯი და სხვა ინვენტარი			2784			557	2227

6.შპს „შვიდის“ საინვესტიციო ქონება შპს“ნიკორაში“ შეადგენს 999406 ლარს.აქედან შპს-ს შეძენის თანხაა 853005 ლარი,ხოლო 146401 ლარი შეტანილი აქვს ნიკორას კაპიტალში.შესაბამისად კონსოლიდირებული ანგარისგებაში შემცირებული არის 146401 ლარით როგორც ინვესტიციები ასევე ნიკორას კაპიტალი.

7. სავაჭრო ვალდებულებები

შვიდი ნიკორა

სავაჭრო ვალდებულებები	149051	118719
-----------------------	--------	--------

კომპანიას აქვს კრედიტორული დავალიანებები კომპანიებთან ,რომლებიც ძირითად სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ მაგალითად,შპს“გეო 2008“,შპს“ქართული

სადისტრიბუციო კომპანია,“ შპს“ჯორჯიან პოლიმერი“, შპს“იბერია რეფრემენტსი“
შპს“პრიმო“ ი/მ ალექსანდრე სოლონიჩკო ,შპს „იდეა“შპს“ნიშა “,შპს“კოროსი აგრო“ და
ა.შ.

8.ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ-0 ლარი

9.შპს“შვიდის“ საგადასახადო ვალდებულებები -4571 ლარი.

კომპანიას აქვს საპენსიო ზედმეტობა-47,67 ,ქონების ზედმეტობა -26,16 ლარი,
გადასახდელი დღგ 3294,33 ლარი,გადასახდელი საშემოსავლო-1350,14 ლარი

შპს ნიკორას საგადასახადო ვალდებულებები -7280 ლარი.

საპენსიო ხარჯი 4196

ქონების გადასახადი 2926

დღგ 158

10.შპს“შვიდის“მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება -116897 ლარი,ბიზნეს სესხი
თიბისი ბანკში.

11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	ევროში	ლარში
სესხი ევროში თიბისი ბანკში	480273	1407488

უცხოურ ვალუტაში არსებული სესხის დაფარვის ოპერაციები გადაანგარიშდება
ოპერაციის თარიღის არსებული სავალუტო კურსით.

12.შპს“შვიდის საკუთარი კაპიტალი შეადგენს 91000 ლარს,ხოლო შპს“ნიკორასი“ 208300
ლარს.

13. .შპს“შვიდის გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 13607 ლარს,ხოლო შპს“ნიკორასი“
155495 ლარს.

14. შპს შვიდის ამონაგები საქონლის გაყიდვიდან

ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	1188361	
რეალიზაცია 18% დღგ	1188361	

შპს ნიკორას ამონაგები საქონლის გაყიდვიდან

ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	1558591	
რეალიზაცია 18% დღგ	1268548	
მომსახურება 18% დღგ	224653	
რეალიზაცია დღგ-ს გარეშე	58187	
იჯარა	7203	

15.

შპს შვიდის გაყიდვების თვითღირებულება შეადგენს -984045 ლარს

კომპანია ახდენს პირველადი მოხმარების პროდუქციის საბითუმო რეალიზაციას, როგორც კვების პროდუქტების ასევე წვრილი პირველადი მოხმარების საგნების.

შპს ნიკორას გაყიდვების თვითღირებულება შეადგენს -1322403 ლარს

კომპანია ახდენს მომსახურებას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის და ღორების დაკვლაზე. ასევე შემოყავს ცოცხალი ღორი და ახდენს ღორის ხორცის რეალიზაციას.

16. შპს“შვიდის დასაქმებულთა ანაზღაურება -94765 ლარი

2024 წლის განმავლობაში თანამშრომლებზე დარიცხული ხელფასი შეადგენს, 94765 ლარს, კომპანიაში დასაქმებულია 10 ადამიანი 2 ქალი და 8 მამაკაცი.

შპს“ნიკორას ,დასაქმებულთა ანაზღაურება -113108

2024 წლის განმავლობაში თანამშრომლებზე დარიცხული ხელფასი შეადგენს 113108 ლარს,კომპანიაში დასაქმებულია 9 ადამიანი 2 ქალი და 7 მამაკაცი.

17.შპს“შვიდში“ცვეთა და ამორტიზაცია-22573 ლარი,შპს“ნიკორასი“ 24610 ლარი

18.

საპროცენტო ხარჯი	13	121571
------------------	----	--------

შპს“შვიდს“ აქვს საკრედიტო ხაზი თიბისი ბანკში ლარში და ასევე თიბისი ბანკში აქვს ევროს სესხი

19.შპს შვიდის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		60905
--	--	-------

კომუნალური ხარჯები -569 ლარი

ავტომობილების შენახვის ხარჯი -43423ლარი

კომუნიკაციის ხარჯი- 862ლარი

საკანცელარიო ხარჯი - 69 ლარი

სხვა ხარჯი - 3481

საგადასახადო ხარჯი-3012 ლარი

საპენსიო ხარჯი - 1500 ლარი

სხვა არასაოპერაციო ხარჯი-7989

შპს ნიკორას ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		
--	--	--

		55759
--	--	-------

კომუნალური ხარჯები -25813 ლარი

ავტომობილების შენახვის ხარჯი -4296ლარი

დამხმარე მასალების ხარჯი- 3935ლარი

ხორცის ანალიზის და ჰასპის ხარჯი -1040 ლარი

საკანცელარიო ხარჯი - 140ლარი

სხვა ხარჯი - 2186

ნარჩენების გადაზიდვის ხარჯი-5210 ლარი

საპენსიო ხარჯი - 2685 ლარი

იჯარის ხარჯი--8822

20.შპს შვიდის წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	20139	)
--	-------	---

საკურსო სხვაობებიდან წარმოქმნილი მოგება

დადებითი საკურსო სხვაობა 23121 ლარი

უარყოფითი -2982

17,შპს“ნიკორას სხვა შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	12	

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11100	0	0	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	109649	0	0	2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0	
მარაგები	380751	0	0	3
შზა პროდუქცია	104200	0	0	
სხვა	276551	0	0	
საინვესტიციო ქონება	0	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	0	
გუდვილი	0	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	575	0	0	4
ძირითადი საშუალებები	778358	0	0	5
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	853005	0	0	6
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0	
სულ აქტივები	2133438	0	0	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	0	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	267770	0	0	7
ანარიცხები	0	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0	8
საგადასახადო ვალდებულებები	11851	0	0	9
გამომუშავებელი შემოსავალი	0	0	0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	116897	0	0	10
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1407488	0	0	11
მიღებული გრანტები	0	0	0	
სხვა ვალდებულებები	21038	0	0	
სულ ვალდებულებები	1825044	0	0	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საბაიო კაპიტალი')	152899	0	0	12
საემისიო შემოსავალი	0	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	155495	0	0	13
გადაფასების რეზერვი	0	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0	
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	308394	0	0	
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	308394	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2133438	0	0	
სულ მოკლევადიანი აქტივები	501500	0	0	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	417556	0	0	
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0	



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	2746952	0	
საქონლის გაყიდვიდან	2515096	0	14
მომსახურების გაწვიდან	224653	0	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0	
სხვა	7203	0	
გაყიდვების თვითღირებულება	-2306448	0	15
საწყისი მარაგები	0	0	
მარაგების შესყიდვა	0	0	
გადამუშავების დანახარჯები	0	0	
საბოლოო მარაგები	0	0	
საერთო მოგება	440504	0	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	23121	0	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-207873	0	16
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-49183	0	17
საპროცენტო შემოსავალი	0	0	
საპროცენტო ხარჯი	-121571	0	18
იჯარის ხარჯი	0	0	
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-116664	0	19
სულ საოპერაციო ხარჯები	-472170	0	
საოპერაციო მოგება	-31666	0	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობა	-31666	0	
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-31666	0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) განხილვა	0	0	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოებისგან)	0	0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-31666	0	
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება	-31666	0	
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	0	0	
მოგება / (ზარალი)	-31666	0	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი მოგება	-31666	0	
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი მოგება (ზარალი)	0	0	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-31666	0	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	0	0	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის	0	0	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	340060	0	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	308394	0	
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0	



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2024 31/12/2023

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გ	3275689	0
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობა	-999406	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამ	-2285370	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-9087	0
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივ	20187	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დ	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბ	11100	0



18.გაცემული დივიდენდი-0 ლარი

კომპანიებში დივიდენდის გაცემა არ მომხდარა.

მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა

დირექტორი



ზ.ღალუაშვილი

